საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ვეფხვი

ვეფხვი კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. მისი სხეულის სიგრძე ერთიდან სამ მეტრამდეა, წონა - ასიდან სამას კილომდე. სხეული დაფარული აქვს ბეწვით, რომელიც მოხატულია განივი ზოლებით.

ვეფხვი ძირითადად ბინადრობს დედამიწის თბილ მხარეებში: აფრიკასა და აზიაში. თუმცა არსებობენ ისეთი სახეობები, რომლებიც ცივ ადგილებში ცხოვრობენ. კერძოდ, რუსეთსა და ჩინეთში. ისინი განსაკუთრებით დიდი ზომისანი არიან. ერთ-ერთი მათგანია უსურიის ვეფხვი. მისი წონა ოთხას კილოს აღწევს. აქვს ბასრი კბილები და ათი სანტიმეტრი სიგრძის ეშვები. კანის ქვეშ მოქცეული ცხიმის ფენა მას ზამთრის სუსხისგან იცავს.

ვეფხვი სხვა დიდი კატებისგან გამოირჩევა იმით, რომ წყალში ბანაობა უყვარს. მისი ბოკვერებიც ხშირად წყალში თამაშობენ და წუწაობენ. ისიც, შინაური კატის მსგავსად, ბეწვს ლოკვით ისუფთავებს.

თავისი ტერიტორიის მონიშვნას ვეფხვი ნაკაწრის დატოვებით ახერხებს. ამ მიზნით ზოგჯერ ხეებს შორის შარდავს ხოლმე. მას შარდის სუნით შეუძლია გაიგოს სხვა ვეფხვის ასაკი და სქესი. მამრი მეტ ტერიტორიას ნიშნავს, ვიდრე მდედრი. ის არასოდეს იჭრება სხვის ტერიტორიაზე.

ვეფხვი ძალიან სწრაფია. სიჩქარით მხოლოდ ავაზას ჩამოუვარდება. მას შეუძლია საათში 80 კილომეტრი გაირბინოს. ვეფხვის ნახტომი სიგრძეში 6 მეტრს აღემატება, ხოლო სიმაღლე - 5 მეტრს.

ზოგჯერ ვეფხვი ნადირის მისატყუებლად მას ხმით ბაძავს. იშვიათად ღრიალებს. თუმცა, თუ დაიღრიალა, მისი ხმა რამდენიმე კილომეტრზე ისმის. როგორც წესი, ვეფხვი ადამიანს არ ესხმის თავს. გამონაკლისი იმ დროს ხდება, როცა ძალიან შია.

ვეფხვი ნადირობას გამთენიისას ან საღამოთი იწყებს. ის სიბნელეში უკეთ ხედავს, ვიდრე ადამიანი. სიარულის დროს კლანჭებს მთლიანად

LIVEWORKSHEETS

თათებში მალავს, რაც ნადირთან მიპარვის საშუალებას აძლევს. ეს მტაცებელი ცხოველი საშუალოდ წელიწადში 60-მდე ირემს, ჯიხვსა და სხვა ჩლიქოსანს მოინადირებს. დღეში დაახლოებით 15 კილოგრამ ხორცს ჭამს. ზაფხულობით თხილს, ბალახსა და ხილსაც შეექცევა. საჭმლის გარეშე გაძლება ორ-სამ კვირას შეუძლია.

ვეფხვი დაახლოებით ოცდახუთ წელს ცოცხლობს. მდედრი ორ-სამ ბოკვერს შობს. ბოკვერი ბრმა იბადება და ამიტომ დედა მას რვა კვირის განმავლობაში არ სცილდება. ძუძუს აწოვებს და ზრუნავს მასზე. ექვსი თვიდან ბოკვერები დედას სანადიროდ მიჰყვებიან. სამი წლიდან კი მარტო იწყებენ ნადირის ჭერას. საინტერესო ფაქტია, რომ ზოოპარკში გაზრდილი ვეფხვი თავის ნაშიერს არ უვლის. მასზე ხომ ადამიანი ზრუნავდა. ამიტომაც არ იცის, რომ საკუთარ ლეკვებს თავად უნდა მიხედოს.

ბოლო წლებში ვეფხვების რაოდენობა შემცირდა. ზოგი სახეობა საერთოდ გაქრა. ბუნებაში სამი ათასამდე ვეფხვია დარჩენილი. ამდენივეა ზოოპარკებში. ამიტომ მათზე ნადირობა აკრძალულია. მაგალითად, ჩინეთში ვეფხვზე ნადირობა სიკვდილით ისჯება.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რა გამოარჩევს ვეფხვს კატისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებისაგან?

ა) დღეში საშუალოდ 10-15 კგ ხორცს ჭამს.

ბ) თავის ტერიტორიას ნაკაწრით შემოფარგლავს.

გ) მას წყალში ბანაობა უყვარს.

2. ცივი ქვეყნების ბინადარი ვეფხვები სხვა ვეფხვებისაგან განსხვავებით:

ა) ზომით ყველაზე დიდები არიან.

ბ) იშვიათად ესხმიან თავს ადამიანს.

გ) ჩლიქოსანი ნადირით იკვებებიან.

LIVEWORKSHEETS

3. უსურიის ვეფხვი სუსხს ადვილად უძლებს, რადგან მას:

ა) ბასრი კბილები და ეშვი აქვს.

ბ) კანქვეშ ცხიმის სქელი ფენა აქვს.

გ) ძალიან სწრაფად მოძრაობს.

4. მსხვერპლის მისატყუებლად ვეფხვი:

ა) ბაძავს მას ხმით.

ბ) ენით ილოკავს ბეწვს.

გ) ხმამაღლა ღრიალებს.

5. რატომ არ ზრუნავს ტყვეობაში გაზრდილი ვეფხვი თავის ნაშიერზე?

ა) არ აქვს ამის გამოცდილება.

ბ) არ აქვს შესაბამისი პირობები.

გ) არ უყვარს თავისი ნაშიერი.

6. რის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას ტექსტის ბოლო აბზაცი?

ა) რატომ იკრძალება ვეფხვებზე ნადირობა.

ბ) რატომ შემცირდა ვეფხვების რაოდენობა.

გ) სად ბინადრობს მეტი ვეფხვი.

LIVEWORKSHEETS